

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი **სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემები**

1. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირებისას გამოიყენება შრიფტი Sylfaen. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაა – 12; ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი. ველები: ზედა ველი – 2 სმ., ქვედა ველი – 2 სმ., მარცხენა ველი – 3 სმ., მარჯვენა ველი – 1,5 სმ.
2. სადისერტაციო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილის ზღვრული მონაცემებია: 150-250 გვერდი (ან არაუმეტეს 400,000 სიმბოლოსი შუალედების გარეშე, სქოლიოების ჩათვლელად, თუ გამოყენებულია Chicago-ს ციტირების სტილი).
3. წყაროების მითითებისას დოქტორანტს შეუძლია გამოიყენოს APA-ს ან Chicago-ს აკადემიური სტილი ყველა შესაბამისი ნორმის დაცვით.

სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი

1. საწყისი ნაწილი – ნაშრომის საწყისი გვერდები (თავფურცლის გარდა) ინომრება რომაული ციფრებით:

1.1. თავფურცელი – თავფურცელზე უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის სახელწოდება; ფაკულტეტის სახელწოდება; შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (საჭიროების შემთხვევაში კათედრაც); სადოქტორო პროგრამის სახელწოდება; ავტორის სახელი და გვარი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური და შემდეგი შინაარსის ტექსტი: „----- დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია“ (გამოტოვებული ადგილის ნაცვლად უნდა ჩაიწეროს შესაბამისი დარგი); სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი; ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი (ნიმუში მოცემულია დოკუმენტის ბოლოში).

1.2. აბსტრაქტი – იდენტური ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართული აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას).

1.3. შინაარსი – შინაარსში შედის სადისერტაციო ნაშრომის ყველა ნაწილი მათი თანმიმდევრობის შესაბამისად.

1.4. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი – თითოეული ცხრილი, გრაფიკი და სხვა თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და დანომრილი. ჩამონათვალში უნდა მიეთითოს სათაური, ნომერი და გვერდი.

1.5. აბრევიატურებისა და შემოკლებათა ჩამონათვალი – აბრევიატურებისა და შემოკლებათა სრული ჩამონათვალი და მათი განმარტებები.

2. ძირითადი ნაწილი: ნაშრომის ძირითადი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით (დანომრვა იწყება 1-ით).

2.1. შესავალი: შესავალში მოცემული უნდა იყოს საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა (კვლევის მნიშვნელობა); კვლევის მიზანი; ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები; კვლევის მეთოდოლოგია; წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

2.2. კვლევითი ნაწილი: დოქტორანტის შეხედულებისამებრ თავებად და ქვეთავებად დაყოფილი ლოგიკურად სტრუქტურირებული კვლევითი ნაწილი.

2.3. დასკვნა: დასკვნაში შეჯამებული უნდა იყოს კვლევის შედეგები.

3. დასკვნითი ნაწილი:

3.1. ბიბლიოგრაფია – ბიბლიოგრაფიაში შეტანილი უნდა იყოს ყველა ის ნაშრომი თუ მასალა, რომლებიც მითითებულია დისერტაციის ძირითად ნაწილში. რეკომენდებულია ბიბლიოგრაფიის დაყოფა შემდეგი სახით: წყაროები და დოკუმენტური მასალები; მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო ლიტერატურა (მათ შორის, ელექტრონული წიგნები

და სტატიები ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებში); პერიოდული პრესა (მათ შორის, ელექტრონული); აუდიო და ვიდეომასალები. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია სხვა ქვეკატეგორიების გამოყოფა. ყველა გამოყენებული ნაშრომი – ელექტრონული თუ ბეჭდვითი მასალები – უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით (ქვეკატეგორიების მიხედვით) და დაინომროს. დაუშვებელია ბიბლიოგრაფიაში ისეთი ნაშრომის ან მასალის შეტანა, რომელიც არ არის მითითებული ძირითად ნაწილში.

3.2. დანართი – დანართის სახით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას მასალა, რომლის სრული მითითება ძირითად ნაწილში არ არის მიზანშეწონილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
_____ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა:

დოქტორანტის სახელი და გვარი

სადისერტაციო ნაშრომის სათაური

_____ დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თბილისი
წელი